საქართველოს მთავრობის

დადგენილება №147

2023 წლის 11 აპრილი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III, 33, 31/03/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების 1^{17} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) არააგლომირირებულ კონცენტრირებულ წიდად მიიჩნევა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2601 11 000 01 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული საქონელი.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 123-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 123^1 გრაფა:

„123^1	არააგლომირირებული კონცენტრირებული წიდის ექსპორტის პროცედურაში გაფორმება		1 ტონა – 20 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 17 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**